დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა“

შეფასების თარიღ(ებ)ი 13,14 ივლისი, 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი 28.07.2020 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტუსოვი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა"
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ა(ა)იპ
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204571588

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, დავით აღმაშენებლის ქ.#52
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, დავით აღმაშენებლის ქ.#52

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

საფოსტო ინდექსი	**0113**
დაწესებულების ვებ-გვერდი	**www.stnino-school.ge**
დაწესებულების ელ-ფოსტა	**stninoschool@gmail.com**
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**599 103453, 551 162211, 599 265553.**
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**აღმასრულებელი დირექტორი ლალი მელივა**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**599 103453, 551 162211**
ელ-ფოსტა	**Lali.meliva@yahoo.com**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში ვიზიტის შესახებ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 22 ივნისის MES 3 20 0000502333 ბრძანება.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	13, 14 ივლისი. 2020 წელი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლიანა კობესაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	მაკა ნადარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლ. კობესაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☐	☒
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)	☐	☒
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	მუხლი 7/ პუნქტი ზ)	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	მუხლი 7/ პუნქტი თ)	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	მუხლი 7/ პუნქტი ი)	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების		**მუხლი 8**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ადამიანური რესურსი				
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	მუხლი 8 / პუნქტი ა)	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	მუხლი 8 / პუნქტი გ)	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	მუხლი 8 / პუნქტი გ)	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	მუხლი 8/ პუნქტი დ)	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	მუხლი 8/ პუნქტი ე)	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	მუხლი 8/ პუნქტი ვ)	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*2.6.*	*სკოლის ეზოში გადაადგილდება მანქანები.*
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
	1.2.	კათედრებმა დაიწყონ თემატური ერთეულების მიხედვით საგნების დაგეგმვა
	1.4.	შემაჯამებელი დავალებები იყოს უფრო მეტად მრავალფეროვანი და კომპლექსური და ის იგეგმებოდეს თემატური ერთეულის ფარგლებში.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	
	2.6.	*შეიზღუდოს მოსწავლეთა თავისუფალი გადაადგილ სკოლის ეზოში მანქანების სავალ ნაწილზე.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		გაიმიჯნოს სკოლისა და „ახალი პროფესიულ სასწავლებლის“ ტერიტორია/ეზო.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლა ზრუნავს მოსწავლეებში სოციალური უნარების განვითარებაზე, კერძოდ აწყობს საქველმოქმედო ღონისძიებებს. სკოლაში გროვდება შემოწირულობები რომლითაც მოსწავლეები სტუმრობენ მოხუცებს; სკოლა ზრუნავს მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებაზე და მშობელთა ჩართულობაზე სასკოლო ცხოვრებაში. რისთვისაც მაგ.,სკოლა-მოსწავლეები და მასწავლებლები მშობლებთან ერთად მონაწილეობდნენ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების აქციაში.

დაწესებულების მისია	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის (შემდგომში-სკოლა) მისიაა მოსწავლეებმა მიიღონ მაღალი აკადემიური განათლება, გამოიმუშავონ უნარები და ღირებულებები, რომლებიც დაეხმარება საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებასა და პოტენციალის რეალიზებაში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეს, რომ გამოუმუშავდეს ანალიტიკური აზროვნების უნარი, შეეძლოს გუნდური მუშობის წარმართვა, განვითარდეს მრავალმხრივად და იყოს კანონმორჩილი, პატრიოტი და ტოლერანტი მოქალაქე. სკოლა ზრუნავს, რომ მოსწავლეს შეეძლოს თანამედროვე სწრაფად ცვალებად დინამიურ გარემოში ორიენტაცია დ ადაპტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა მოსწავლეს უქმნის შემოქმედებით და თანამშრომლობით გარემოს. ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემისა და თნასწორობის პრინციპების დაცვას. სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო და წამახალისებელ გარემოს და იგი უნვითარებს კულტურულ ფასეულობათა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და კანონის მიმართ პატივისცემას, ასევე ხელს უწყობს მოსწავლის ფიზიკურ განვითარებას, რისთვისაც ორგანიზებას უწევს სპორტულ და სახელოვნებო აქტივობებს, როგორც მოსწავლეების, ასევე მშობელთა და მასწავლებელთა ჩართულობით. სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მოსწავლემ შეძლოს სწორად აირჩიოს მომავალი განვითარების მიმართულება.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	2.1. დაამატოს სპორტის ახალი სახეობა ჭადრაკის მაგივრად, რამდენადაც ჭადრაკი აღარ შედის სპორტის სახეობებში საბაზო და საშუალო საფეხურზე და ამასთან დაკავშირებით სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანოს ცვლილებები. ამავე ქვემუხლში სკოლას მიეცა რეკომენდაციები სპორტული მოედნის მშენებლობასთან დაკავშირებით; 2.3.წიგნადი ფონდის დამუშავების დროს გაითვალისწინოს საბიბლიოთეკო წესი; 2.5. რეკომენდაცია გაიცა ვებ-გვერდის მუდმივ განახლებასთან და მის მეტად ინფორმატიულობასთან დაკავშირებით; 2.6.სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2 მეგაპიქსელიანი 3 გარე კამერა შეცვალოს 3 მეგაპიქსელიანი კამერებით; 2.8.სკოლის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია -სამოქმედო გეგმის დასახვის დროს გაითვალისწინონ შენობასთან არსებული ეზოს მოწყობა-მოწესრიგება, სპორტული მოედნის აშენება, შენობის ექსტერიერის რემონტი. დაწესებულებამ წარმოდგენილი რეკომენდაციების ნაწილი შეასრულა. ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასრულებს. კერძოდ , ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სპორტული მოედნის მოწყობა სკოლის ეზოში სკოლის შენობის მიმდებარედ.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ----------	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე უკვე ჰქონდა შემუშავებული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაბამისად წარმოადგინა 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. ექსპერტების მიერ შესწავლილი და გაანალიზებული იქნა, როგორც 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. სკოლის დებულების მე-6 მუხლის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმას ითანხმებს პედაგოგიური საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის აღმსარულებელ დირექტორს. სკოლის მიერ წარმოდგენილი როგორც გასული სასწავლო წლის, ასევე მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და გეგმის პროექტი დამტკიცებული იყო სკოლის შიდარეგულაციების შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა კლასში (არაუმეტეს 22 მოსწავლისა), საგნობრივი კათედრებისა და კათედრის თავჯდომარის ფუნქციები, სადამრიგებლო პროგრამა, მოსწავლის შეფასების წესი, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა და აღდგენის წესი, შეფასების წესი, სემესტრული გამოცდის დანიშვნის წესი, ინკლუზიური განათლების კონცეფცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, სსსმ მოსწავლის აკადემიური შეფასება, შინ სწავლება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და გეგმის მონიტორინგის ჩარჩოები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული /გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და ზოგადი აღწერილობა, სასწავლო მასალების ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასებისა და საგნების მიხედვით. სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო საათობრივი ბადე შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ ბადესთან. მეორე უცხოური ენა - რუსული ისწავლება მესამე კლასიდან. სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ/ გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში მოსწავლეებს სთავაზობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	1. კატეხიზმო I-IX კლასებში 1 საათიანი კვირეული დატვირთვით, სავალდებულო სახით; 2. გერმანული ენა V-VI კლასებში- ფაკულტატურული სახით; 3. ხრიდოლი II-VI კლასებში-ფაკულტატურული სახით; 4. ოქრომკედი II-VI კლასებში-ფაკულტატურული სახით; 5. ცეკვა I-IV კლასებში-ფაკულტატურული სახით. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, განსხვავებით სასკოლო სასწავლო გეგმისაგან, ასევე განსაზღვრულია წლიური ჯამური საათობრივი დატვირთვა საგნების მიხედვით. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2019-2020 წწ. სასკოლო სასწავლო გეგმა; • 2020-2021 წწ. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • 2019 წლის 10 სექტემბრის ბრძანება ს N74; • 2019 წლის 10 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1; • 2020 წლის 3 ივლისის ბრძანება ს N 62; • 2020 წლის 3 ივლისის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N7; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში ფუნქციონირებს 6 საგნობრივი კათედრა: • ქართული ენისა და ლიტერატურის; • მათემატიკისა და ტექნოლოგიების; • უცხოური ენების (ინგლისური, რუსული, გერმანული); • საზოგადოებრივი მეცნიერებების;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; • ესთეთიკური აღზრდისა და სპორტის. კათედრებზე გაერთიანებულია საგნობრივ ჯგუფში შემავალი ყველა საგნის მასწავლებელი. კათედრების შემადგენლობა და ფუნქციები სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. კათედრებზე, საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლების მიერ, ერთობლივად/თანამშრომლობით იგეგემება ინტერგრირებული გაკვეთილები. კათედრის სხდომებზე კი განიხილება მოსწავლეთა მოტივაციის ფაქტორები, საგნის სწავლების მეთოდიკები და წარმატებული პრაქტიკები. ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად და შესაბამისად საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ სკოლა ახალ რეჟიმში გადაიყვანა. კერძოდ, დაწესებულებამ 2020 წლის მარტი-ივნისის პერიოდში მოახდინა არსებული საგნობრივი გეგმების მოდიფიცირება, მოარგო ისინი მოსწავლეთა საჭიროებებსა და დისტანციურ სწავლებას. დისტანციური სწავლებისათის სკოლა იყენებდა https://portal.edupage.org/-ს და zoom.us-ს. ამჟამად სკოლა მუშაობს Microsoft Teams - ის პროგრამაში ჩართვაზე. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი გეგმები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული წლიური საგნობრივი პროგრამების შესაბამისად. აღნიშნული საგნობრივი გეგმები არ არის თემატურ ერთეულის მიხედვით დაგეგმილი. სასურველია, კათედრებმა დაიწყონ თემატური ერთეულების მიხედვით საგნების დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად, სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისა და მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდის მიზნით სკოლა გეგმავს შემეცნებით ექსკურსიებს. ინეტერვიურების (მშობლები და ბავშვები) შედეგად გაირკვა, რომ ექსკურსიაზე წასვლამდე, მოსწავლეებს ეძლევათ დავალებები, მოამზადონ პრეზენტაციები, ჩანახატები და ა.შ. იმ ღირსშესანიშნაობების შესახებ, სადაცაა ვიზიტი დაგეგმილი. შემდეგ, ექსკურსიის დროს, მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ დამუშავებულ მასალას. გარდა ამისა, ინტერვიურებით გაირკვა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შექმნილია სამკითხველო კლუბები, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. მოსწავლეები კითხულობენ წიგნებს, კვირაში ერთხელ განიხილავენ მათ მასწავლებლებთან, ხოლო თვეში ერთხელ მოწვეულ, უცხოელ სტუმართან. მოსწავლეთა შორის ურთიერთობის, სოციალური უნარების, კრიტიკული აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობის განვითარების მიზნით, სკოლა აწყობს დებატებს სხვადასხვა თემაზე. ამრიგად სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა მოთხოვნებსა და საჭიროებებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2019-2020 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • 2020-2021წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • კათედრების პორტფოლიოები; • ინტერვიუ მასწავლებლებთან; • ინტერვიუ მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა აღიარებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და გამოხატავს მზაობას უზრუნველყოს ისინი სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების პრინციპები. სკოლას ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე არ ჰყავს. მასწავლებლებთან ინტერვიუირებით გაირკვა, რომ დაწესებულება/ მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა 2019-2020 წწ; • სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი 2020-2021 წწ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ინტერვიუ მოსწავლეებთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს შეფასების მიზნები და წესი. მოსწავლის აკადემიური მოსწრება ფასდება 10 ქულიანი სისტემით 5 დონის მიხედვით. კათედრების მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებები იყო სხვადასხვა ტიპის: ზეპირი შემაჯამებლები, ესსე, ტესტური დავალებები (რომლებიც მოიცავს დახურულ და ღია შეკითხვებს, შესაბამისობის დადგენას) ამოცანების ამოხსნას და სხვა. თუმცა ეს დავალებები ნაკლებად იყო კომპლექსური ხასიათის. მასწავლებლები სისტემატურად აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და ანალიზის შედეგებს იყენებენ მოსწავლეებთან შემდგომი მუშაობის დასაგეგმად. კათედრებზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იყო როგორც ზოგადი ხასიათის ასევე თემის მიხედვით დაკონკრეტებული. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის შესაბამისია. მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად იყენებენ განმავითარებელ შეფასებასაც და შეფასების რუბრიკები მოსწავლეებისათვის ცნობილია. **სასურველია შემაჯამებელი დავალებები იყოს უფრო მეტად მრავალფეროვანი და კომპლექსური და ის იგეგმებოდეს თემატური ერთეულის ფარგლებში.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • კათედრების პორთფოლიოები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• გასაუბრება მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია დამრიგებლის ფუნქციები, რომელიც მოიაზრებს მშობლის ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ზოგადად კლასის ორგანიზაციული საკითხების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დამრიგებელი სისტემატურად აწვდის ინფორმაციას მშობელს, სატელეფონო კომუნიკაციის, მესინჯერის ან/და ინდივიდუალური შეხვედრების დროს. გარდა ამისა სკოლა მშობლის ინფორმირების მიზნით ეფექტურად იყენებს პორტალს- https://stnino.edupage.org/. მშობლები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. ისინი ფლობენ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ და აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ საკუთარ შვილთან ერთად სკოლის მიერ ორიგანიზებულ სხვადასხვა შემეცნებით, კულტურულ და სოციალურ აქტივობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • სკოლის ელექტრონული პორტალი - https://portal.edupage.org/; • ინტერვიუ მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი "სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები". დოკუმენტში გაწერილია ის აქტივობები, რომლებსაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ახორციელებს სასწავლო გეგმის გასაუმჯობესებლად. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზებს, მოსწავლეთა ეროვნულ ოლიმპიადაში მონაწილეობის მაჩვენებელს, საგაკვეთილო პროცესზე ადმინისტრაციის დასწრების შედეგებს, სხვადასხვა კონკურსში მოსწავლეთა მონაწილეობის შედეგებს, მასწავლებელთა, მშობელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს და სხვა. სკოლა ასევე წარმატებით იყენებს, თვითშეფასების ფორმებს. გამოკითხვის შედეგები მუშავდება, ანალიზდება საკითხები და გამოიყენება ახალის სასკოლო სასწავლო გეგმის შესადგენად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების მექანიზმები; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	კათედრებმა დაიწყონ თემატური ერთეულების მიხედვით საგნების დაგეგმვა. შემაჯამებელი დავალებები იყოს უფრო მეტად მრავალფეროვანი და კომპლექსური და ის იგეგმებოდეს თემატური ერთეულის ფარგლებში.
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა მდებარეობს სამსართულიან შენობაში, რომელსაც აქვს სარდაფი. შენობის მესაკუთრეა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია. შენობის სამივე სართულისა და სარდაფის, რომლებიც საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია სხვადასხვა საკადასტრო კოდით, იპოთეკარია სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ და მონათხოვრე ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა“ ხელშეკრულება უძრავი ქონების თხოვების შესახებ, ოთხივე ფართის (სარდაფი და შენობის სამი სართული-სართულების მიხედვით) შემთხვევაში, დამოწმებულია საქართველოს იუსტიციის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2019 წლის 26 აგვისტოს. თხოვების ვადად განსაზღვრულია 20 წელი.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N52
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N01.72.14.020.308.01.500 N01.72.14.020.308.01.507 N01.72.14.020.308.01.508 N01.72.14.020.308.01.509
კვ.მ.	დაზუსტებული ფართობი არასასოფლო სამეურნეო 12657.00 კვ.მ. სარდაფი-245.29 კვ.მ პირველი სართული-575.66 კვ.მ მეორე სართული-569.72კვ.მ მესამე სართული-755.05 კვ.მ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჯამში: 2145.72 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან: • N882019793305 • N882019793363 • N882019793352 • N882019793376 • შიდა აზომვითი ნახაზი • ხელშეკრულება უძრავი ქონების თხოვების შესახებ.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა განთვსებულია სამ სართულზე. სკოლის სარდაფი სასწავლო მიზნებისთვის არ გამოიყენება და ის არის მიუწვდომელი სკოლის მოსწავლეებისათვის. შენობის პირველ სართულზე (საერთო ფართი- 575.66 კვ.მ) სულ 14 ოთახია. აღნიშნული ოთახებიდან ნაწილი გარემონტებულია და სკოლა იყენებს სხვადასხვა დანიშნულებით. კერძოდ, პირველ სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, დარაჯის ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სასადილო, სამზარეულო, სპორტული დარბაზი. ამავე სართულზე განთავსებული სველი წერტილები და დანარჩენი ოთახები არის სარემონტო მდგომარეობაში. შესაბამისად ისინი, ჩაკეტილია და სკოლა მათ ამ ეტაპზე არ იყენებს. მეორე სართულზე (საერთო ფართი-569.72 კვ.მ) განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, სასწავლო ნაწილისა და ადმინისტრაციის ოთახები, დირექტორის ოთახი, ექიმის ოთახი, სველი წერტილები: სკოლის პერსონალისთვის (ცალ-ცალკე ქალებისა და მამაკაცებისათვის 2-2 კაბინით) და მოსწავლეებისათვის (ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გოგონებისა და ვაჟებისათვის 3-3 კაბინით). მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სველ წერტილებში თითო-თითო კაბინა გამოყოფილია შშმ მოსწავლეებისათვის (ჯამში 2 კაბინა). მესამე სართულზე (საერთო ფართით 755.05 კვ.მ) სკოლას აქვს 15 საკლასო ოთახი, ოთახი ფსიქოლოგისათვის, კომპიუტერული კლასი, დირექტორის ოთახი და 2 სველი წერტილი თითო 3-3 კაბინით ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის. სულ სკოლა ჯამში ამ ეტაპზე იყენებს 27 საკლასო ოთახს. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებს მორგებული მერხებითა და სკამებით (საკლასო ოთახებში განლაგებული მერხების რაოდენობაა 373), მასწავლებლის მაგიდებით, დაფებით. ყველა ოთახი , ისევე, როგორც სკოლის დერეფნები არის ნათელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სასაქონლო ზედნადებები; • ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ; • საგადახდო დავალებები, • ანგარიშფაქტურები; • ჩუქების აქტი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის პირველ სართულზე ერთ-ერთ ოთახს, ფართით 51.58კვ.მ, სკოლა იყენებს ფიზკულტურის დარბაზად. ვიზიტის დროს ეზოში მიმდინარეობდა სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოები. სკოლასა და ი/მ გიორგი ყეინიშვილთან 2020 წლის 29 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად (იხ. დანართი 1, 1 ფურცელი), ეს უკანასკნელი ვალდებულებას იღებს, რომ სკოლის ტერიტორიაზე მოაწყობს 288 კვ.მ. ფართის სპორტულ მოედანს. რომელიც სკოლას უნდა ჩაბარდეს 2020 წლის 10 აგვისტოს. სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ აღნიშნულ მოედანი იქნება მწვანესაფარიანი. სპორტული აქტივობებისთვის სკოლას შეძენილი აქვს სპორტული ინვენტარი: სპორტული მსხალი, ბურთები, ჩოგბურთის მაგიდა, 12 ჭადრაკის დაფა და 1 სადემონსტრაციო დაფა, ტატამები ჭიდაობისათვის და სხვა. სკოლას სპორტის სახეობებიდან არჩეული აქვს მაგიდის ჩოგბურთი, ქართული ჭიდაობა და კარატე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• აზომვითი ნახაზი; • ვიზუალური დათვალიერება; • სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინტერვიუ; • ხელშეკრულება. დანართი 1; • შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შენობის პირველ სართულზე გამოყოფილი აქვს ოთახი საბუნებისმეტყველო (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მეცნიერებების ლაბორატორიისათვის ფართით 33.7 კვ.მ. ოთახში დამონტაჟებულია ონკანი. გამწოვი ოთახში არ არის, თუმცა არის დიდი ზომის ფანჯრები და საშუალება, რომ ლაბორატორია განიავდეს. ოთახში არის კარადა, რომელიც იკეტება. ლაბორატორია აღჭურვილია სამეცნიერო ლაბორატორიის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომია სულ 208 ერთეული) აღჭურვილობით. დაწესებულებას შემუშავებული და ლაბორატორიაში გამოკრული აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით სარგებლობის და უსაფრთხოების წესები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სკოლის შენობის შიდა აზომვითი ნახაზი; • ხელშეკრულება N52. გაფორმებული შპს ჯეოდეკორთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამეცნიერო ლაბორატორიის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომია და საერთო დანიშნულების 208 დასახელების) შესყიდვაზე.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საკლასო ოთახებს და სკოლის დერეფნებს აქვთ ბუნებრივი განათება, სკოლა „ენერგო-პროს“ აბონენტია და მას უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია. სკოლას აქვს საკუთრებაში ელექტროენერგიის ალტერნატიული წყარო-გენერატორი. სკოლაში დამონტაჟებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემა. სველი წერტილები განლაგებულია სკოლის სამივე სართულზე (პირველ სართულზე განლაგებული სველი წერტილები მოსაწყობია). უკვე მოწყობილი და მოქმედი სველი წერტილებში კაბინების რაოდენობაა ჯამში 5-5 მოსწავლე გოგონებისა და ვაჟებისათვის, თითო-თითო შშმ მოსწავლეებისათვის და 2-2 სკოლის პერსანალისათვის (ქალებისა და მამაკაცებისათვის ცალ-ცალკე). ყველა სველ წერტილში დამონტაჟებულია კაბინების შესაბამისი რაოდენობის ხელსაბანი. სველ წერტილებს აქვს ტრაპები. სველი წერტილები მოწესრიგებულია და დაცულია ჰიგიენური ნორმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგადახდო დავალებები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის პირველ სართულზე მდებარეობს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა მოიცავს პატარა, მინით გამიჯნულ ოთახს ბიბლიოთეკარისათვის და სამკითხველო დარბაზს. საცავი და სამკითხველო დარბაზი ერთ სივრცეშია. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა ანბანური კატალოგი, 2 ინვენტარიზაციის წიგნი ცალ-ცალკე სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურისათვის. წიგნების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი, ანბანური კატალოგი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია როგორც ინვენტარიზაციის წიგნში ასევე ელექტრონულად. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 1095 ერთეულ მხატვრულ ლიტერატურას და 699 ერთეულ სახელმძღვანელოს. ბიბლიოთეკაში არის კლასების მიხედვით გრიფირებული სახელმძღვანელოები, მე-8 კლასის სახელმძღვანელოები განახლდება, როგორც კი ბაზარზე იქნება მათი შესყიდვის საშუალება. ბიბლიოთეკა მუშაობს ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი და პრინტერი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგადახდო დავალებები; • სასაქონლო ზედნადები; • მიღება -ჩაბარების აქტი; • ხელშეკრულება; • ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუთი ბიბლიოთეკართან და ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობაში შესასვლელ კიბეს აქვს პანდუსი. საკუთრივ სკოლის შენობაში არის 2 შიდა კიბე. მათგან ერთ-ერთზე (მეორე სართულის ჩათვლით) დამონტაჟებულია რკინის პანდუსი, ხოლო მეორე-მესამე სართულებს შორის არის ხის მოძრავი პანდუსი. სკოლის მეორე სართულზე განთავსებულ სველ წერტილებში თითო-თითო კაბინა მოწყობილია სსსმ მოსწავლეებისათვის ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, რომელიც მდებარეობს შენობის მესამე სართულზე. კაბინეტში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები და ნოუთბუქები-ჯამში 21. სკოლის ადმინისტრაციის სარგებლობაშია 5 პერსონალური კომპიუტერი და ნოუთბუქი. 1 კომპიუტერი განთავსებულია ბიბლიოთეკაში. ჯამში სკოლას აქვს 27 პერსონალური კომპიუტერი და ნოუთბუქი (აღნიშნულ რაოდენობაში არ შედის ბუქები), 2 მულტიფუნქციური პრინტერი, პროექტორი. სკოლის ვებგვერდია https://stnino-school.ge/. სკოლის ვებგვერდზე ინფორმაცია განახლებადია და იძლევა ინფორმაციას სკოლის შესახებ. სკოლას აქვს ასევე ელექტრონული პორტალი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთერთობისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ჰოსტინგის მომსახურების ხელშეკრულება N HS1604 ; • საგადახდო დავალებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“. დოკუმენტში გაწერილია საგანგებო სიტუაციებში, და მათ შორის ხანძრის შემთხვევაში, სკოლის მიერ გასატარებელი ღონისძიებები. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2014 წლის 15 გვისტოს სN 67 ბრძანებით. სკოლას შესყიდული აქვს 15 ცეცხლმაქრი. ცეცხლმაქრები საევაკუაციო გეგმით გათვალისწინებულ ადგილებზეა განთავსებული. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები გაწერილია ასევე სკოლის შინაგანაწესში. დირექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით სკოლაში შექმნილია უსაფრთხოების მექანიზმებისა და ხანძარსაწინააღდეგო კომისიის ჯგუფი 4 წევრის შემადგენლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საგადახდო დავალებები; • ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორის ბრძანების სN67, (15 აგვისტო, 2014 წ) დანართი; • ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის შინაგანაწესი; • 15.08.2014 წლის N69 ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობა -ნაგებობის საევაკუაციო გეგმა შემუშავებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახლემწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ. საევკუაციო გეგმა გამოკრულია შენობის სამივე სართულზე. აღნიშნული გეგმის მიხედვით განლაგებულია ცეცხლმაქრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • მიღება-ჩაბარების აქტი -გაფორმებული შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახლემწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან (23.01.2020 წ); • ხელშეკრულება -მომსახურების გაწევის შესახე N-G36/01-შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახლემწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან (23.01.2020 წ); • ხელშეკრულება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურდიული პირი -დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან; • საგადახდო დავალება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“. დოკუმენტის მე-5 მუხლში გაწერილია ადამიანთა სიცოცხლის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჯანმრთელობის და საკუთრების ხელყოფის დროს სკოლის მიერ გასატარებელი ღონისძებები. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2014 წლის 15 გვისტოს სN 67 ბრძანებით. სკოლას ჰყავს ექიმი-პედიატრი. გამოყოფილია ოთახი ექიმის კაბინეტისთვის. ოთახში არის სამედიცინო ტახტი, კარადა წამლებისათვის, სიმაღლის საზომი და საჭირო მედიკამენტები. ექიმი აწარმოებს ჟურნალს სადაც აღრიცხავს ყველა იმ მოსწავლეს, რომელმაც მიმართა ჩივილებით, აფიქსირებს მიმართვის დროს, ჩივილების რაობას და გაწეულ დახმარებას. ექიმს ცალკე ყავს აღრიცხული დიაბეტით დაავადებული ბავშვები და დაწესებული აქვს კონტროლი მათ კვებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორის ბრძანება ს 67 ის (15 აგვისტო, 2014 წ) დანართი;. • ექიმის სამუშაო ჟურნალები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ემსახურება დარაჯი, რომელიც ზის სკოლის პირველ სართულზე შესასვლელში. მისი ფუნქციაა არ დაუშვას და/ან აკონტროლოს სკოლაში უცხო პირთა გადაადგილება. სკოლის მასწავლებლები მორიგეობენ სართულების მიხედვით. სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას ასევე განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-„112“-ის, განათლების მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომრები, სკოლის ფსიქოლოგის სამსახურეობრივი ტელეფონის ნომერი. როგორც დირექციასთან ინტერვიუთი გაირკვა სკოლის მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს სკოლამ გააცნო ზემოთ ჩამოთვლილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პირებისა და უწყებების ფუნქციები და მნიშვნელობა. სკოლა ასევე აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძებებს ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, დისკრიმინაციის, ბულინგის და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშრებით. სკოლამ შეიმუშავა ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლისათვის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები“ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამიად და ვიზიტის პერიოდში გააგზავნა შესათანხმებლად განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში. ეზო, სადაც მდებარეობს სკოლის შენობა არის შემოღობილი. ეზოში არის მეორე დაწესებულება- „ახალი პროფესიული სასწავლებელი“. შენობა, რომელშიც აღნიშნული სასწავლებელია განთავსებული ასევე საპატრიარქოს პატრონაჟის ქვეშაა. შენობები დაკავშირებულია 2 დახურული გადასასვლელით. აღნიშნული გადასასვლელებიდან ერთ-ერთი, რომელიც სკოლის მესამე სართულს აკავშირებს მიმდებარედ მდგარ შენობასთან ეკუთვნის სკოლას და იქ განლაგებულია საკლასო ოთახები. სკოლის შენობის მეორე სართულისა და გვერდზე მდგომი შენობის დამაკავშრებელი გადასასვლელი არ ეკუთვნის სკოლას და სკოლის მხრიდან აღნიშნული გადასასვლელი დაკეტილია. აღნიშნულ ორ დაწესებულებას შორის ტერიტორია გამიჯნული არ არის. რაც იმას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნიშნავს, რომ საკუთრივ სკოლის კუთვნილი ეზო არაა შემოღობილი. სკოლის შენობის მიმდებარედ არის ასევე პატარა მოედანი, რომელიც ავტომანქანების გასაჩერებლად გამოიყენება (იხ. დანართი 2 ფოტო). ავტომანქანების სადგომი, თუ იქ მოსწავლის მოხვედრა შეზღუდული არ იქნება, საფრთხის შემცველია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 14.07.2020 წ. ვაკე-საბურთალოს რაიონის რესურსცენტრში გაგზავნილი N60 წერილი; • ვიზუალური დათვალიერება; • ფოტოსურათი (დანართი 2); • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის გარე პერიმეტრსა და მის მიმდებარე ტერიტორიას სრულად აკონტროლებს 10 უსაფრთხოების კამერა. სკოლის შიდა პერიმეტრს-დერეფნებსა და კიბის უჯრედებს აკონტროლებს 12 კამერა. კამერები აკმაყოფილებენ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესს .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის აქტები; • კამერების სპეციფიკაციები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი, სკოლის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, ექიმის დებულება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დოკუმენტის მოქმედების სფერო, სამუშაო და დასვენების დრო, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, სკოლაში პედაგოგის მიღება, შრომითი ურთიერთობის პირობები, შრომის ანაზღურების გაცემის დრო, ადგილი, წესი და პირობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობები, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. დასაქმებულის მიმართ დისციპლინური წარმოება და სხვა. სკოლის დებულებით განისაზღვრება საქმიანობის სფერო, დაწესებულების სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლის ადმინისტრაციის ფუნქცია მოვალეობები. სკოლის მიერ შემუშავებული შიდარეგულირების დოკუმენტები მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• **შინაგანაწესი;** • **ბრძანება სN 69 სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ (2014 წლის 20 აგვისტო);** • **სკოლის დებულება.**
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების (ექვსწლიანი 2020-2025 წწ) და ერთწლიანი განვითარების გეგმები. სტრატეგიული განვითარების გეგმების შეუშავების საფუძველია სვოტ ანალიზი. ერთწლიანი გეგმა გამომდინარეობს ექვსწლიანი გეგმიდან და ემსახურება გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი მიზნების მიღწევას. სტრატეგიული განვითარების გეგმაში სკოლის განვითარება მიმართულებების მიხედვით გაწერილია წლების მიხედვით. კერძოდ, სკოლა გეგმავს მუშაობას პედაგოგთა კვალიფიკაციის და მოსწავლეებში სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლების, მართვისა და სარეკლამო პოლიტიკის სისტემატიზაციის, მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენების და გაუმჯობესების მიმართულებით. თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრულია შემსრულებელი პირები პოზიციების მიხედვით. წარმოდგენილი გეგმები დამტკიცებულია სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოსწმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა; • ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოსწმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის გრძელვადიანი განვითარების გეგმა; • 2019 წლის 27 დეკემბრის ს N108 ბრძანება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და 2014 წლის 20 აგვისტოს სN70 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ა(ა)იპსაქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის საქმისწარმოების წესი. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე სკოლა დოკუმენტების აღრიცხვას აწარმოებს შემდეგი სახის სარეგისტრაციო ჟურნალებში:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შემოსული კორესპონდენციის; • გასული კორესპონდენციის; • შრომითი ხელშეკრულებების; • სხვა ხელშეკრულებების; • საერთო ბრძნებების; • შიდა დოკუმენტაციის. გარდა ამისა იწარმოება: • მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი; • მოსწავლეთა ჩანაწერის ანბანური წიგნი ყველა ჟურნალი დანომრილი, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული კორესპონდენციის წიგნი; • გასული კორესპონდენციის წიგნი; • შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის წიგნი; • სხვა ხელშეკრულებებისაღრიცხვის წიგნი; • საერთო ბრძანებების აღრიცხვის წიგნი; • შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის წიგნი • მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი; • მოსწავლეთა ჩანაწერის ანბანური წიგნი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	უზრუნველყოფილი იქნას მოსწავლეთა გადაადგილების შეზღუდვა მანქანების სამოძრაო ტერიტორიაზე. გაიმიჯნოს სკოლისა და „ახალი პროფესიული სასწავლებლის“ ტერიტორია
რჩევები:	
ხარვეზები:	ეზოში, სადაც მდებარეობს სკოლის შენობა გადაადგილდება მანქანები
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. მას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 58 თანამშრომელთან, მათ შორის: 39 მასწავლებელი, 1 ფსიქოლოგი, 5 ქოუჩი - კლასის მეთვალყურე, 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 3 სასწავლო პროცესის უფროსი (მათ შორის 2 უფროსი მასწავლებლის სტატუსით), 2 დირექტორი (მათშორის ერთი უფროსი მასწავლებლის სტატუსით), 1 ბიბლიოთეკარი, 1 მზარეული, 1 მზარეულის დამხმარე, 1 მატერიალურ ტექნიკოსი (პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით), 1 პიარმენეჯერი, 1 საინფორმაციო სამსახური, 1 ექიმი, 1 დარაჯი, 1 ბუღალტერი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 264 მოსწავლე (განათლების საინფორმაციო მართვის სისტემის მიხედვით), რასაც ემატება 22 პირველკლასელი, რომლებიც სკოლას ჯერ ბაზაში არ ჰყავს ასახული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ელექტრონული ბაზა (Eschool).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	39
მოწვეული/მაძიებელი	11
პრაქტიკოსი მასწავლებლი	10
უფროსი მასწავლებლი	17

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	-

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლას ჰყავს 39 მასწავლებელი. სკოლაში არის პრაქტიკოსის სტატუსის მქონე 10 მასწავლებელი, მათ შორის 1 მასწავლებელი დარეგისტრირებულია საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე; 1 მასწავლებელი ასწავლის საგზაო წესებსა და უსაფრთხოებას; 1 ჭადრაკს (დამატებითი საგანმანათლებლო), 1 მულტიმედია დიზაინის მასწავლებელი (არჩევითი). იმ პრაქტიკოსი მასწავლებლების შემთხვევაში, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებული გამოცდაზე (ხელოვნების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) მასწავლებლების პოზიციაზე სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია ინტერნეტგვერდზე http://teacherjobs.ge/17611; http://teacherjobs.ge/17609/ ; http://teacherjobs.ge/17608/ .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ელექტრონული ბაზა (Eschool); • ინტერვიუ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. აღნიშნული გაწერილია, სკოლის შინაგანაწესში, მუხლი 5 - თანამშრომელთა შერჩევა. შინაგანაწესის მიხედვით იქმნება საკონკურსო კომისია, ვაკანტური ადგილის შესახებ განცხადება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თავსდება ინტერნეტ სივრცეში. ამავე შინაგანაწესის თავი 8. წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობა -მუხლი 16 ეხება მასწავებელთა წახალისების ფორმებს. სკოლა მასწავლებელთა წახალისების მიზნით იყენებს შემდეგ ფორმებს: ა. სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება; ბ.საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ.ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ. ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა; მასწავლებელთა პირადი საქმეების დათვალიერებისას, აღმოჩნდა, რომ მათ, მადლობის საპატიო სიგელები გადაეცათ დისტანციური სწავლების წარმატებით განხორციელებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • მასწავლებელთა სიგელები; • ინტერვიუ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლას თანამშრომლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და მოიცავს ძირითად და სავალდებულო პუნქტებს (ზეგანაკვეთური სამუშაო, შვებულების მიცემის წესი და ა.შ.)
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის თანამშრომლებთან გამორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, რაც თავისთავად მოიაზრებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. სკოლას აქვს შეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა ოქმების სახით, მასწავლებლებს Eschool-ის ბაზაში მინიჭებული აქვთ კრედიტქულები. ყველაფერი ეს ზემოთხსენებული, მოწმობს იმას, რომ სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - "ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზნები და მათი შეფასების წესი". დოკუმენტში გაწერილის შეფასების ინდიკატორები და შეფასების სქემები: 1. გაკვეთილის შეფასების ფურცელი; 2. გაკვეთილის გეგმის შეფასების ფურცელი; 3. გაკვეთილის თვითშეფასება; 4. ღია გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმები; 5. საგნობრივი პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; 6. სასკოლო ღონისძიებების შეფასების კრიტერიუმები; 7. სასწავლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; 8. ტრენინგზე დასწრების შეფასების კრიტერიუმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის შეფასების ჯგუფების ოქმები; • ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის (ადმინისტრაციის) Eschool-ის ბაზა; • ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის "ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები და მათი შეფასების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში შექმნილია პოზიტიური, ურთიერთპატივისცემისა და თანმშრომლობის ატმოსფერო. ეს დამოკიდებულება ნათლად შეიმჩნეოდა თანამშრომლებთან ურთიერთობისას. მათი ჩართულობითა და თბილი დამოკიდებულებით. ერთმანეთისადმი პატისვისცემა გამოიხატებოდა ინტერვიურებისას. მოსწავლეებთან ინტერვიურებით გაირკვა, რომ სკოლა აღიარებს და პატივს სცემს თავის აღსაზრდელებს. ხელს უწყობს მათ, რომ მაქსიმალურად მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება სკოლაში. მოსწავლეებმა განსაკუთრებულად გამოკვეთეს სკოლის ტრადიცია, პროექტი "ერთი დღე მასწავლებლად", როდესაც მაღალი კლასის მოსწავლეები გაკვეთილს უტარებენ დაბალი კლასის მოსწავლეებს. მშობლებმა ინტერვიუირებისას საკმაოდ თბილად ილაპარაკეს სკოლაზე. ჩანს , რომ მათ აქვთ სკოლის ნდობა და მოსწონთ ის გარემო რასაც მათ შვილებს სთავაზობს სკოლა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუ; • დაკვირვება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1-1 ფურცელი
დანართი 2 -ფოტოსურათი

თბილისი
(შევსების ადგილი)
28.07.2020 წ.
თარიღი

გვერდების რაოდენობა 39

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.